

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი განცხადებას ავრცელებს

20:02 09-12-2013



საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი (სპმთპ-ის) მაია კობახიძე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც "ინტერნუსი" უცვლელად გთავაზობთ:

უკანასკნელ პერიოდში სპმთპ-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ შეგნებულად ვიკავებდით თავს გამეხადა იგი პედაგოგთა კორპუსის და საზოგადოების მსჯელობის საგანი. ვცდილობდით პრობლემები გადაგვეწყვიტა ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე, მაგრამ მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ჩვენი დუმილი დააზარალებს მთლიანად პროფკავშირულ მოძრაობას და შესაბამისად პედაგოგებს.

როდესაც ხელისუფლება ცდილობს პროფკავშირული ორგანიზაციის დაუსტებას და მისი ეფექტიანობის დაქვეითებას, მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა იგი ქმნის ე.წ. ალტერნატიულ პროფკავშირებს. ამ მეთოდის გამოყენებით დაიწყო ბრძოლა წინა ხელისუფლებამ სპმთპ-ის წინააღმდეგ. 2009 წელს შეიქმნა „პროფესიული სინდიკატი“. „პროფესიულ სინდიკატი“ პედაგოგთა გაწევრიანება მიმდინარეობდა რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების, საჯარო სკოლების დირექციების და სხვა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ „პროფესიული სინდიკატის“ შექმნის მიზანი იყო სპმთპ-ის წინააღმდეგ ემოქმედა ხელისუფლების მართულ „პროფკავშირულ“ ორგანიზაციას და სრულად გაეტარებინა განათლების სამინისტროს ინტერესები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) და „განათლების ინტერნაციონალმა“ (EI) „პროფესიული სინდიკატი“ აღიარეს ყვითელ პროფკავშირად და უარი განაცხადეს მის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე. მიუხედავად ამისა, ყოფილმა ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია და ხელოვნურად მოხდა სპმთპ-ის წევრების იძულებით გადადინება „პროფესიულ სინდიკატი“ ცნობისათვის, „პროფესიული სინდიკატის“ ხელმძღვანელი და დამფუძნებელია ბატონი ტარას შავშიშვილი. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოიხსნა ზეწოლა სპმთპ-ზე და დავიწყეთ ორგანიზაციის აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესი. ჩვენდა გასაოცრად, საპარლამენტო არჩევნების შემდგომ სოკოსავით მრავლდება პედაგოგების ინტერესების „დამცველი“ სხვადასხვა „პროფკავშირული“ ორგანიზაციები და ორი ორგანიზაციის - „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირისა“ და „განათლების პროფესიული კავშირის“ დამფუძნებლებად და ინიციატორებად მოგვევლინენ „პროფესიული სინდიკატის“ დამფუძნებლები და აქტივისტები. „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი“ დაფუძნდა 2012 წლის 2 ნოემბერს. ორგანიზაციის ხუთი დამფუძნებელიდან ოთხი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ საჯარო სკოლების ადმინისტრაციის ტრენერი, მათ შორის ერთი სპმთპ-ის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე (2012 წლის აპრილში დანიშნული იყო მასწავლებელთა სახლში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე), ხოლო „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირის“ ხელმძღვანელი, თეიმურაზ მოწენიძე „პროფესიული სინდიკატის“ ყოფილი აქტივისტი და ერთ-ერთი ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია დაფუძნებული იყო კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით და იმ პერიოდისათვის არ ჰყავდათ წევრები, განათლების სამინისტრომ აღიარა პროფკავშირად. ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა დაიწყო სპმთპ-ის დისკრედიტაციით და პედაგოგების მიმართ ცრუ დაპირებებით. ისინი ღიად აცხადებდნენ და დღესაც აცხადებენ, რომ მათ მხარს უჭერს კოალიცია „ქართული ოცნება“. მოვლენების განვითარებამ დაგვანახა, რომ მათ განცხადებებს გარკვეული საფუძველი გააჩნია. რიგ რაიონებში „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაიწყეს პედაგოგებთან მუშაობა „ზოგადი განათლების პროფესიულ კავშირში“ გაწევრიანების მიზნით. მაგალითად ნამალადევის რაიონში „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის აქტივისტმა - ქალბატონმა ლილია ნოლიამ, ადიგენის რაიონში - ადიგენის რაიონის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ლევან ლობჯანიძემ და მისმა თანაშემწემ ლია მინამე-კაპანაძემ და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროფკავშირის დაფუძნებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საჭიროა 50 ინიციატორის (დასაქმებულის) სია. „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი“ როგორც უკვე აღვნიშნეთ დაფუძნებულია 5 პირის მიერ. აღნიშნული დარღვევის შესახებ ჩვენ არაერთგზის მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას. შედეგად მივიღეთ ის, რომ მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, ყოველგვარი პროცედურების დარღვევით, ხარვეზის დადგენის გზით, რეესტრმა გამოასწორა რეგისტრაციის დროს დაშვებული „შეცდომა“ და დაფუძნებიდან 10 თვის შემდეგ შეცვალა სადამფუძნებლო დოკუმენტები.

ბუნებრივია კითხვა, თუ ჩვენი მოთხოვნა არ იყო კანონიერი, რატომ დაადგინა საჯარო რეესტრმა ხარვეზი და რატომ შეცვალა სადამფუძნებლო დოკუმენტები. დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც განვიმარტა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ჩვენდამი გამოგზავნილ წერილში, მიმდინარე წლის 15 ნოემბერს. ერთი სიტყვით, არასწორად დაფუძნებული ორგანიზაცია, კანონის მოთხოვნების დარღვევით აწარმოებდა პროფკავშირულ საქმიანობას 10 თვის მანძილზე, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ, და ჩვენი აზრით საჯარო რეესტრმა კანონდარღვევით აღუდგინა ეს უფლება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირის“ ინიციატორთა სიაში „სინდიკატის“ ყოფილ ლიდერებთან ერთად, მრავლად არიან „ქართული ოცნების“ აქტივისტები. ბუნებრივია კითხვა, თუ პროფკავშირი არის აპოლიტიკური და დასაქმებულთა საერთო პროფესიული ნიშნით გაერთიანება, რა საერთო აქვთ მის დაფუძნებასთან პარტიულ აქტივისტებს. ასევე დამფუძნებლებს შორის არიან მასწავლებელთა სახლის თანამშრომლები. ყოველივე ეს აშკარად მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ორგანიზაცია იქმნება ზევიდან ქვევით და არა პედაგოგთა ინიციატივით. იკვეთება პოლიტიკური დაინტერესების ელემენტებიც. ასეთი ქმედებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ფასდება ყვითელი პროფკავშირების განვითარების ხელშეწყობად. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ პოლიტიკას მიზანმიმართულად ატარებს ხელისუფლება ან „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა, მაგრამ ჩვენს გაოცებას იწვევს მათი უმოქმედობა არსებული კანონდარღვევების გამოსწორებისათვის, რის შესახებაც ჩვენ არაერთელ მივაწოდეთ მათ ინფორმაცია.

და, კიდევ ერთი გარემოების შესახებ, „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირის“ წევრები ხარჯავენ სოლიდურ თანხებს პედაგოგებთან შეხვედრების ორგანიზების მიზნით. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ჩვენს ორგანიზაციას 30 000-ზე მეტი წევრი ყავს და აქვს შემოსავალი პროფკავშირული საწევრო შენატანების სახით. ასევე, ვახორციელებთ საერთაშორისო პროექტს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით და ორგანიზაციული განვითარებისათვის ვიღებთ ფინანსურ დახმარებებს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი“ ყავს მცირე რაოდენობის წევრები და ლეგალური დაფინანსების წყარო არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ისინი აწყობენ შეხვედრებს პედაგოგებთან ქვეყნის მამტაბით, რაც დაკავშირებულია დიდ თანხებთან. ასევე, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას რაიონული კოორდინატორების ანაზღაურება განსაზღვრული აქვს 6-ჯერ და 8-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენ. ვფიქრობთ, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ აღნიშნული საკითხი.

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დაარსდა „განათლების პროფესიული კავშირი“, რომლის პრეზიდენტი, გიორგი ლაცაბიძე არის 2009 წელს ყოფილი ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი „პროფესიული სინდიკატის“ პირველი ხელმძღვანელი. „განათლების პროფესიული კავშირის“ სამი დამფუძნებელიდან ერთ-ერთი არის მაკა ბუქანიშვილი, ქ. თბილისის 87-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (დამსაქმებელი). სადამფუძნებლო დოკუმენტებში ფიქსირდება მისი მეუღლის პეტრე წურწუმისა გვარი, რომელიც წინა მთავრობის პერიოდში იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი მომსახურების დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2011 წლიდან განათლების სამინისტროს ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე. ბატონი პეტრეს ამ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში განათლების სამინისტროს შიდა ნორმატიულ აქტებში შედიოდა ისეთი ცვლილებები, რომელმაც გამოიწვია მასწავლებელთა მასიური გათავისუფლებები სკოლებიდან. მაგალითად, 2010 წელს „სკოლასა და მასწავლებელს შორის გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების შესახებ“ 959-ე ბრძანებიდან ამოღებული იქნა პედაგოგის დამცავი ყველა ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა დირექტორის მხრიდან პედაგოგის გათავისუფლებამდე გასავლელ სავალდებულო პროცედურებს. ბატონი პეტრე წურწუმისა სახელს უკავშირდება საჯარო სკოლების გაყიდვა, ოპტიმიზაცია - რეორგანიზაცია, ლიკვიდაციის პროცესები და უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის შეწყვეტის საკითხი. საინტერესოა, რა მანტალური ცვლილება განიცადა პეტრე წურწუმისამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რომ იგი, აქამდე წლების მანძილზე პედაგოგთა დამსჯელი, ამჯერად მოგვევლინა პედაგოგთა უფლებების დამცველად. „განათლების პროფესიული კავშირი“ აქტიურ მუშაობას ეწევა ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რომლებიც არიან ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში. საბავშვო ბაღების აღმზრდელთა გაწევრიანებისათვის ისინი აქტიურად იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს და ცდილობენ ცრუ დაპირებების ხარჯზე მიიზიდონ წევრები. მაგალითად, აღნიშნულ ორგანიზაციას პროგრამაში გათვალისწინებული აქვს ბაღების თანამშრომლებისათვის შრომის ანაზღაურების გაზრდა 900 ლარამდე. საინტერესოა, ვისი იმედით და დახმარებით ცდილობენ ამ დაპირების შესრულებას.

ჩვენ არ ვართ ჯანსაღი კონკურენციის და პარალელური ფუნქციების მქონე ორგანიზაციების შექმნის წინააღმდეგი, თუ იგი ფუძნდება პედაგოგების მიერ, ქვევიდან ზევით, პროფკავშირის ფუნდამენტური და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით. მინდა სწორად იქნას გაგებული, ჩვენი შემფოთების მიზეზია ისეთი პროფკავშირული ორგანიზაციების დაფუძნება, რომლებიც იქმნება ხელოვნურად სხვადასხვა არაპროფკავშირული მიზნებისათვის, რაც გამოიწვევს დაბნეულობას პედაგოგთა შორის, მათ იმედგაცრუებას და საბოლოო ჯამში პროფკავშირული მოძრაობის ავტორიტეტის შელახვას. ამ მიზნებს ვხედავთ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან.

პროფკავშირში დასაქმებულები საერთო პროფესიული ნიშნით ერთიანდებიან და არა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების თანახმად პროფკავშირი აპოლიტიკური ორგანიზაციაა", - ნათქვამია მაია კობახიძის განცხადებაში.

მასალის გამოყენების პირობები